



# ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

სექტემბერი 2022

საქართველო

საერთაშორისო ვიზიტორების  
მახასიათებლები 2022 წლის პირველ  
ნახევარში



Research



# ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

საქართველო

## სექტემბერი 2022

უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, საზღვრის გადაკვეთის სტატისტიკამ რუსების, ბელორუსების და უკრაინელების შემოსვლისა და გასვლის რაოდენობაში მნიშვნელოვანი განსხვავებები აჩვენა. 2022 წლის იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების შემოსვლებსა და გასვლებს შორის სხვაობამ 58.6 ათასს უნიკალურ პირს მიაღწია.

2021 წლიდან საერთაშორისო ვიზიტების აღდგენის მნიშვნელოვანი დინამიკა შეინიშნება. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის I კვარტლიდან აღდგენა გაძლიერდა და II კვარტალში 2019 წლის შესაბამისი პერიოდის საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობის თითქმის ნახევარს მიაღწია.

საერთაშორისო ვიზიტების ნაწილობრივი აღდგენის მიუხედავად, 2022 წლის I კვარტალში საერთაშორისო ვიზიტორების მთლიანმა დანახარჯმა პანდემიამდელ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად, 21%-ით, გადააჭარბა, ხოლო 2022 წლის II კვარტალში დანახარჯები 2019 წლის II კვარტლის მაჩვენებელს მხოლოდ 6%-ით ჩამორჩებოდა.

ვიზიტზე საშუალო დანახარჯი 2019 წლის შესაბამის პერიოდებთან შედარებით 2022 წლის I კვარტალში სამჯერ გაიზარდა, ხოლო 2022 წლის II კვარტალში თითქმის გაორმაგდა. ეს აიხსნება იმით, რომ 2022 წლის პირველ ნახევარში ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა თითქმის გაორმაგდა და 3.8-დან 6.4 ღამემდე გაიზარდა.

2022 წლის პირველ ნახევარში ვიზიტორთა წილი, რომლებიც დანიშნულების ადგილად აჭარას ირჩევდნენ პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით მკვეთრად, 14.9პპ-ით, გაიზარდა. მონახულებული ადგილების მიხედვით ბათუმის წილი ვიზიტების მთლიან რაოდენობაში გაიზარდა და 2022 წლის პირველ ნახევარში 38.4%-ს მიაღწია.

2022 წლის სექტემბერში საქართველოში სასტუმროს ფასების ინდექსი (სფი) 2022 წლის აგვისტოსთან შედარებით 5.3%-ით შემცირდა, ხოლო 2021 წლის სექტემბერთან შედარებით - 22.6%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ წლიური ფასების წლიური ზრდა განსაკუთრებით მაღალი საოჯახო სასტუმროებისთვის აღმოჩნდა (41.3%).




# საერთაშორისო მოგზაურობის დინამიკა

საერთაშორისო მოგზაურთა<sup>1</sup> რიცხვი 2022 წლის სექტემბერში 157.5%-ით გაიზარდა, 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, და 30.6%-ით შემცირდა 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

საერთაშორისო ვიზიტორების<sup>2</sup> რაოდენობა 147%-ით გაიზარდა (2022/2021) და 28.6%-ით შემცირდა (2022/2019), ხოლო საერთაშორისო ტურისტების<sup>3</sup> რაოდენობა 115.7%-ით გაიზარდა (2022/2021) და 16.2%-ით შემცირდა (2022/2019).

საერთაშორისო მოგზაურობის დინამიკა სექტემბერში (2019-2022)



2022 წლის სექტემბერში<sup>4</sup> საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობით გამოირჩეოდნენ რუსეთი (163 192 ვიზიტით), სომხეთი (83 603 ვიზიტით) და თურქეთი (81 790 ვიზიტით).

საქართველოს მსხვილ ტურისტული ბაზრებს შორის, ბელარუსიდან (95.0%-ით მეტი 2019 წლის სექტემბერთან შედარებით), საუდის არაბეთიდან (58.9%) და ყაზახეთიდან (21.0%) საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 2019 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს მნიშვნელოვნად გადააჭარბა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ რუსეთიდან (10.7%) 2019 წლის ამავე პერიოდის ნიშნულს გადააჭარბა.

წყარო: საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაცია

1 საერთაშორისო მოგზაურები მოიცავს იმ ადამიანებს, ვინც გადაადგილდებიან გეოგრაფიულ ადგილმდებარეობებს შორის ნებისმიერი მიზნითა და ხანგრძლივობით. აღნიშნული ტერმინი მოიაზრებს საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც არიან უცხო ქვეყნის რეზიდენტები და არ მოიცავს უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც არიან საქართველოს რეზიდენტები.  
2 საერთაშორისო ვიზიტორი არის მოგზაური, რომელიც ტოვებს საკუთარ ჩვეულ საცხოვრებელს 1 ნელზე ნაკლები პერიოდითა

და ნებისმიერი მიზნით (ბიზნესი, დასვენება და სხვა პირადი მიზანი) გარდა ვიზიტის ქვეყანაში რეზიდენტ დანესებულებაში დასაქმებისა. საკუთარ საცხოვრებელში მოიარება გეოგრაფიული არეა, სადაც პიროვნება ახორციელებს მის რეგულარულ ცხოვრების რუტინას. ამის გათვალისწინებით, სტატისტიკა არ მოიცავს იმ ადამიანებს, რომლებიც 8 ან მეტ ვიზიტს ახორციელებენ საქართველოში.  
3 ვიზიტორი (ადგილობრივი, უცხოელი და გამყვანი)


კლასიფიცირდება როგორც ტურისტი, თუ მისი მოგზაურობა მოიცავს ღამისთევას.  
4 გაითვალისწინეთ, რომ საერთაშორისო ვიზიტორთა სტატისტიკის დათვლისას გამოყენებულია ვიზიტორთა მიერ საქართველოს დატოვების მონაცემები, შესაბამისად აღნიშნული სტატისტიკა სრულად არ ასახავს 2022 წლის შესაბამის თვეში შემოსული ვიზიტორების რაოდენობას.



# რუსების, ბელორუსების და უკრაინელების შემოსვლები და გასვლები

უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, საზღვრის გადაკვეთის სტატისტიკამ რუსების, ბელორუსების და უკრაინელების შემოსვლისა და გასვლის რაოდენობაში მნიშვნელოვანი განსხვავებები აჩვენა.

რუსეთის, უკრაინისა და ბელარუსის მოქალაქეების საქართველოდან გასვლა და შემოსვლა (იანვარი-სექტემბერი 2022)



წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო

2022 წლის იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით<sup>5</sup> რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების შემოსვლებსა და გასვლებს შორის სხვაობამ 58.6 ათას უნიკალურ პირს მიაღწია.

რაც შეეხება უკრაინასა და ბელარუსს, აღნიშნული ქვეყნების მოქალაქეებისთვის შემოსვლებისა და გასვლების სხვაობამ, შესაბამისად, 11.2 ათასი და 6.3 ათასი შეადგინა.

აღნიშნულ გამოცემაში გამოყენებული შემოსვლისა და გასვლის სტატისტიკა სრულად ეფუძნება შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებს მოქალაქეობის მიხედვით უნიკალური პირების შემოსვლისა და გასვლის სტატისტიკის შესახებ, რაც წინა გამოცემებთან შედარებით ამცირებს სტატისტიკურ ცდომილებებს<sup>6</sup> და გვაძლევს შესაძლებლობას საქართველოში დარჩენილი უცხოელი მოქალაქეების რაოდენობის უკეთესად შეფასების შესაძლებლობას.

<sup>5</sup> 2022 წლის იანვარი-სექტემბრის პერიოდის უნიკალური პირების საერთო მაჩვენებლები მოიცავს ამ პერიოდის განმავლობაში განმავლობაში გადაადგილებული პირების საერთო უნიკალურ რაოდენობას. <sup>6</sup> იგულისხმება ორი განსხვავებული მონაცემთა წყაროს (შემოსვლის სტატისტიკა შინაგან საქმეთა სამინისტროდან და გასვლის სტატისტიკა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან) გამოყენებით გამოწვეული სტატისტიკური ცდომილებების არსებობა.




# საერთაშორისო ვიზიტების დინამიკა

2021 წლიდან საერთაშორისო ვიზიტების აღდგენის მნიშვნელოვანი დინამიკა შეინიშნება. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის I კვარტალში ის გაძლიერდა და II კვარტალში 2019 წლის შესაბამისი პერიოდის საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობის თითქმის ნახევარს მიაღწია.

2022 წლის პირველ ნახევარში, წინა პერიოდების მსგავსად, ყველაზე მეტი საერთაშორისო ვიზიტი მეზობელი ქვეყნებიდან განხორციელდა: კერძოდ, თურქეთიდან (მთლიანი ვიზიტების 18%), რუსეთიდან (17%) და სომხეთიდან (14%).

საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა და მათი ფარდობა შესაბამისი პერიოდის პანდემიამდელ მაჩვენებელთან (2019 - კვ.2 2022)




წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ვიზიტზე საშუალო დანახარჯი 2019 წლის შესაბამის პერიოდებთან შედარებით 2022 წლის I კვარტალში სამჯერ გაიზარდა, ხოლო 2022 წლის II კვარტალში თითქმის გაორმაგდა. ეს აიხსნება იმით, რომ 2022 წლის პირველ ნახევარში ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა თითქმის გაორმაგდა და 3.8-დან 6.4 ღამემდეგ გაიზარდა.

2019 წლის პირველ ნახევართან შედარებით, 2022 წელს მსხვილ ტურისტულ ბაზრებს შორის ისრაელიდან საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ პანდემიამდელ მაჩვენებელს 2%-ით გადააჭარბა ამავედროულად, მნიშვნელოვნად აღდგა ვიზიტები უკრაინიდან (2019 წლის მაჩვენებლის 86%), ირანიდან (61%), ევროკავშირიდან (53%) და თურქეთიდან (52%).

საერთაშორისო ვიზიტების ნაწილობრივი აღდგენის მიუხედავად, 2022 წლის I კვარტალში საერთაშორისო ვიზიტორების მთლიანმა დანახარჯმა პანდემიამდელ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად, 21%-ით, გადააჭარბა, ხოლო 2022 წლის II კვარტალში დანახარჯები 2019 წლის II კვარტლის მაჩვენებელს მხოლოდ 6%-ით ჩამორჩებოდა.

მთლიანი და საშუალო დანახარჯი საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტზე 2019 და 2022 წლების პირველ ნახევარში



2022 წლის პირველ ნახევარში დანახარჯების დიდი წილი მოდიოდა საკვებსა და სასმელზე (36%), რასაც მოჰყვებოდა განთავსების საშუალებები (22%) და შოპინგი (18%). მთლიან დანახარჯებში საკვებისა და სასმლის დანახარჯის წილის ზრდა შეიძლება ამ პროდუქტების ფასების განსაკუთრებულად მზარდი ტენდენციით აიხსნას.







# საერთაშორისო ვიზიტების განაწილება ძირითადი მიზნების მიხედვით

2022 წლის პირველ ნახევარში საერთაშორისო ვიზიტების ძირითადი მიზნების მიხედვით განაწილებაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ დასვენების/რეკრეაციისა (გაზრდილი 9.1პპ-ით) და მეგობრებთან/ნათესავებთან სტუმრობის (6.1პპ) წილი საერთო ვიზიტებში პანდემიამდელ მაჩვენებელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუმცა, ტრანზიტის წილი 4.3პპ-ით, ბიზნეს ვიზიტების 4.1პპ-ით, ხოლო შოპინგის 4.0პპ-ით შემცირდა.

აქტივობების მიხედვით 2022 წლის პირველ ნახევარში ზღვაზე მიმავალი ვიზიტორების წილი პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. ასევე, გაიზარდა იმ ვიზიტორთა წილიც, რომელთა მიერ განხორციელებულ აქტივობებს შორის აზარტული თამაშებია. მეორე მხრივ, ისეთ აქტივობები, როგორებიცაა: ნადირობა, თევზაობა, ჯომარდობა, მთამსვლელობა და ცხენოსნობა ამ პერიოდში საერთაშორისო ვიზიტორების მიერ ყველაზე ნაკლებად მოთხოვნად აღმოჩნდა.

საერთაშორისო ვიზიტის მთავარი მიზნების განაწილება 2022 წლის პირველ ნახევარში

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ მონახულებული რეგიონების განაწილება 2022 წლის პირველ ნახევარში



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

2022 წლის პირველ ნახევარში ვიზიტორთა წილი, რომლებიც დანიშნულების ადგილად აჭარას ირჩევდა პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით მკვეთრად, 14.9პპ-ით, გაიზარდა. მეორე მხრივ, ქვემო ქართლის რეგიონში ვიზიტების რაოდენობა მნიშვნელოვნად, 9.9პპ-ით, შემცირდა.

მონახულებული ადგილების მიხედვით ბათუმის წილი ვიზიტების მთლიან რაოდენობაში გაიზარდა და 2022 წლის პირველ ნახევარში 38.4%-ს მიაღწია. ამასთანავე, თბილისისა და ქუთაისის წილები, შესაბამისად, 4პპ და 3.6პპ-ით გაიზარდა.



# სასტუმროს ფასების ინდექსი საქართველოში

- საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი<sup>7</sup> 2022 წლის სექტემბერში, 2022 წლის აგვისტოსთან შედარებით, 5.3%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 5.8%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 4.3%-ით შემცირდა.
- თვიური ინდექსი ყველაზე მაღალი შიდა ქართლში (20.5%) აღმოჩნდა, ყველაზე ნაკლები კი გურიასა (-30.6%) და აჭარაში (-19.5%).

- 2022 წლის სექტემბერში, 2021 წლის სექტემბერთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 22.6%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 19.0%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 41.3%-ით გაიზარდა.
- წლიური ინდექსი ყველაზე მაღალი იყო შიდა ქართლსა (28.4%) და აჭარაში (27.8%), ყველაზე ნაკლები კი მცხეთა-მთიანეთში (3.9%).

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2022 სექ/ 2022 აგვ	2022 სექ/ 2021 სექ	2022 სექ/ 2022 აგვ	2022 სექ/ 2021 სექ	2022 სექ/ 2022 აგვ	2022 სექ/ 2021 სექ
კახეთი	1.2%	13.4%	5.3%	9.5%	-0.5%	15.3%
იმერეთი	-0.1%	12.5%	0.0%	7.6%	-0.1%	17.6%
გურია	-30.6%	9.6%	-30.6%	18.3%	-30.6%	-12.8%
ქვემო ქართლი	0.0%	10.0%	0.0%	10.0%	-	-
აჭარა	-19.5%	27.8%	-19.7%	21.7%	-18.8%	43.0%
რაჭა	0.0%	5.1%	-	-	0.0%	5.1%
შიდა ქართლი	20.5%	28.4%	0.0%	12.8%	28.2%	66.2%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-0.3%	8.1%	2.8%	11.3%	-2.5%	5.8%
სამცხე-ჯავახეთი	-10.8%	9.5%	-15.7%	4.4%	-8.8%	12.6%
მცხეთა-მთიანეთი	1.9%	3.9%	2.5%	3.7%	1.1%	4.1%
თბილისი	1.0%	26.8%	0.7%	24.2%	4.3%	58.2%
<b>სულ ფასების % ცვლილება</b>	<b>-5.3%</b>	<b>22.6%</b>	<b>-5.8%</b>	<b>19.0%</b>	<b>-4.3%</b>	<b>41.3%</b>

<sup>7</sup> სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული

რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.




# სასტუმროს საშუალო ფასები

2022 წლის სექტემბერში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა<sup>8</sup> 177 ლარი შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - 287 ლარი. საოჯახო ტიპის სასტუმროების<sup>9</sup> საშუალო ფასმა სექტემბერში 115 ლარი შეადგინა.

5-ვარსკვლავიანი სასტუმროთა საშუალო ფასმა სექტემბერში 440 ლარი შეადგინა. კახეთში ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 580 ლარი შეადგინა, აჭარაში - 489 ლარი, გურიაში - 454, ხოლო თბილისში - 434.

3\*, 4\* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2022 სექტემბერი, ლარი)



8 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3\*, 4\*, 5\* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს

ტერიტორიაზე განთავსებულ 3\*, 4\*, 5\* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3\*, 4\* და 5\* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება

სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკული გამოანგარიშებით. 9 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.





# ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

	2016	2017	2018	2019	2020	I 2021	II 2021	III 2021	IV 2021	2021	I 2022	II 2022	III 2022
<b>მშპ მიმდინარე ფასებში განთავსების საშუალებებისა და საკვები ობიექტების აქტივობებიდან (მლნ)</b>	2413.5	3098.5	3721.1	4279.6	2441.9	431.0*	893.6*	1148.5*	935.7*	3408.8*	752.7*	1090.4*	-
<b>საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი)</b>	6720.0	7902.5	8679.5	9357.9	1747.1	134.7	351.3	815.4	579.8	1881.3	576.5	1049.4	2266.7
<b>ტურისტების რაოდენობა (ათასი)</b>	3297.3	4069.4	4756.8	5080.5	1087.0	116.6	305.8	670.4	484.7	1577.5	456.0	749.3	1494.9
<b>საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)</b>	2110.7	2704.3	3222.1	3268.7	541.7	53.6*	246.1*	566.0*	379.3*	1244.9*	393.7*	748.8*	-
<b>ქართველი მოგზაურების დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ აშშ დოლარი)</b>	386.3	463.6	524.7	657.2	180.5	19.7*	37.1*	62.6*	64.5*	184.1*	72.2*	103.5*	-
<b>პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჰორეკა სექტორში (მლნ აშშ დოლარი)</b>	120.0	112.5	105.2	130.4	-248	-1.0	-5.6	6.4	-2.7	-2.9	11.3*	10.8*	-

\* პირველადი მონაცემები



# სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;

რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევას ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შემლუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შემლუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შემლუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

**გიორგი ხიშტოვანი**  
კვლევითი დირექტორი  
[g.khishtovani@pmcginternational.com](mailto:g.khishtovani@pmcginternational.com)

**ნიკა კაპანაძე**  
მკვლევარი  
[n.kapanadze@pmcginternational.com](mailto:n.kapanadze@pmcginternational.com)

**ნანა ქაჯაია**  
უმცროსი მკვლევარი  
[n.kajaia@pmcginternational.com](mailto:n.kajaia@pmcginternational.com)

**სოფიო მკერვალიძე**  
სტაჟიორი  
[s.mkervalidze@pmcginternational.com](mailto:s.mkervalidze@pmcginternational.com)

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3  
სართული, თბილისი, 0102, საქართველო.  
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181  
ელ. ფოსტა: [research@pmcginternational.com](mailto:research@pmcginternational.com)  
ვებსაიტი: [pmcresearch.org](http://pmcresearch.org)

